

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის
ოქმი №2

20.11.2025 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: კონსტანტინე ზარნაძე (კომისიის თავმჯდომარე), ჯაბა კოლუა, მარიამ გრიგოლიშვილი, ბექა მენთეშაშვილი, ლეილა კოლომიკოვი, ირაკლი ბენდელიანი, გიორგი ხუროძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. მამუკა ხაზარელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
მოწვეული სტუმრები:
2. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);
3. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) მოადგილე;
4. ქეთევან კანდელაკიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) მოადგილე;
5. ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: კონსტანტინე ზარნაძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე, კონსტანტინე ზარნაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისთვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ

/მომხსენებელი: კონსტანტინე ზარნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე/

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 14 ნოემბრის №12-032531815-03 წერილი)

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 14 ნოემბრის №12-032531844-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 7 ნოემბრის №12-032541131-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 7 ნოემბრის №12-032541132-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 13 ნოემბრის №12-032531737-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

7. მიმდინარე საკითხები:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 19 ნოემბრის №12-032532367-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 19 ნოემბრის №12-032532367-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ.

მომხსენებლის (კ. ზარნაძე) ინფორმაციით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაასახელა კომისიის წევრის - ჯაბა კოლუას კანდიდატურა.

კომისიის წევრების მიერ სხვა კანდიდატები არ დასახელებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვროს კომისიის წევრი ჯაბა კოლუა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვროს კომისიის წევრი ჯაბა კოლუა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 14 ნოემბრის №12-032531815-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 082 482 200 (ორი მილიარდ ოთხმოცდაორი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას ორასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178 000 (ერთი მილიარდ ცხრაას ოთხმოცდასამი მილიონ ას სამოცდათვამეტი ათასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 99 304 200 (ოთხმოცდაცხრამეტი მილიონ სამას ოთხი ათას ორასი) ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 656 339 700 (ექვსას ორმოცდათექვსმეტი მილიონ სამას ოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარი;
2. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 278 531 300 (ორას სამოცდათვრამეტი მილიონ ხუთას ოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარი;
3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 292 760 600 (ორას ოთხმოცდათორმეტი მილიონ შვიდას სამოცი ათას ექვსასი) ლარი;
4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079 500 (სამი მილიონ სამოცდაცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი;
5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491 300 (ორმოცდაშვიდი მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარი;
6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384 400 (ას ოთხმოცდაორი მილიონ სამას ოთხმოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარი;
7. განათლება - 300 602 400 (სამასი მილიონ ექვსას ორი ათას ოთხასი) ლარი;
8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558 800 (ორმოცდაათი მილიონ ხუთას ორმოცდათვრამეტი ათას რვაასი) ლარი;
9. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196 700 (ცამეტი მილიონ ას ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდასი) ლარი;
10. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 257 537 500 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 012 482 200 (ორი მილიარდ თორმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას ორასი) ლარის ოდენობით. მათ შორის:

გადასახადები 1 017 275 000 (ერთი მილიარდ ჩვიდმეტი მილიონ ორას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 350 000 000 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (320 000 000 (სამას ოცი მილიონი) ლარი) შედარებით გაზრდილია 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარით. მათ შორის:

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 282 000 000 (ორას ოთხმოცდაორი მილიონი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (255 000 000 (ორას ორმოცდათხუთმეტი მილიონი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 27 000 000 (ოცდაშვიდი მილიონი) ლარით;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 48 000 000 (ორმოცდარვა მილიონი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (45 000 000 (ორმოცდახუთი მილიონი) ლარი)

მიმართებაში გაზრდილია 3 000 000 (სამი მილიონი) ლარით;

- მიწაზე ქონების გადასახადი 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამისი მაჩვენებლის დონეზეა.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 667 275 000 (ექვსას სამოცდაშვიდი მილიონ ორას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (667 349 200 (ექვსას სამოცდაშვიდი მილიონ სამას ორმოცდაცხრა ათას ორასი) ლარი) შედარებით შემცირებულია 74 200 (სამოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარით.

გრანტები - 607 668 200 (ექვსას შვიდი მილიონ ექვსას სამოცდარვა ათას ორასი) ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 13 493 600 (ცამეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდაცამეტი ათას ექვსას) ლარით (სხვა კაპიტალური გრანტების ხარჯზე) მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 405 000 (ოთხას ხუთი ათასი) ლარის ოდენობით (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ)
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 1 783 200 (ერთი მილიონ შვიდას ოთხმოცდასამი ათას ორასი) ლარი (მათ შორის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის - 383 200 (სამას ოთხმოცდასამი ათას ორასი) ლარი, ხოლო პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფისათვის - 1 300 000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარი);
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 580 000 000 (ხუთას ოთხმოცი მილიონი) ლარი.
- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 25 480 000 (ოცდახუთი მილიონ ოთხას ოთხმოცი ათასი) ლარი (მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი, თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის (AIIB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 17 000 000 (ჩვიდმეტი მილიონი) ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 200 000 (ორასი ათასი)

ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 280 000 (ორი მილიონ ორას ოთხმოცი ათასი) ლარი, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი).

სხვა შემოსავლები 387 539 000 (სამას ოთხმოცდაშვიდი მილიონ ხუთას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (321 654 200 (სამას ოცდაერთი მილიონ ექვსას ორმოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 65 884 800 (სამოცდახუთი მილიონ რვაას ოთხმოცდაოთხი ათას რვაასი) ლარით. მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან - 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 8 000 000 (რვა მილიონი) ლარით პროცენტებიდან მისაღები შემოსავლების ზრდის ხარჯზე;

- ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი - 23 026 800 (ოცდასამი მილიონ ოცდაექვსი ათას რვაასი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 764 600 (შვიდას სამოცდაოთხი ათას ექვსასი) ლარით საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების შემცირების ხარჯზე;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 10 000 000 (ათი მილიონი) ლარით;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 100 000 000 (ასი მილიონი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) 120 000 000 (ას ოცი მილიონი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარით;

- სხვადასხვა შემოსავლები - 76 512 200 (სამოცდათექვსმეტი მილიონ ხუთას თორმეტი ათას ორასი) ლარი, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 43 649 400 (ორმოცდასამი მილიონ ექვსას ორმოცდაცხრა ათას ოთხასი) ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 2 082 482 200 (ორი მილიარდ ოთხმოცდაორი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას ორასი) ლარს. მათ შორის:

ხარჯების მუხლი განსაზღვრულია 1 730 007 800 (ერთი მილიარდ შვიდას ოცდაათი მილიონ შვიდი ათას რვაასი) ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება გათვალისწინებულია 164 521 700 (ას სამოცდაოთხი მილიონ ხუთას ოცდაერთი ათას შვიდასი) ლარი, საქონელი და მომსახურება - 223 852 600 (ორას ოცდასამი მილიონ რვაას

ორმოცდათორმეტი ათას ექვსასი) ლარი, პროცენტი - 50 087 200 (ორმოცდაათი მილიონ ოთხმოცდაშვიდი ათას ორასი) ლარი, სუბსიდიები - 920 322 000 (ცხრაას ოცი მილიონ სამას ოცდაორი ათასი) ლარი, გრანტები - 1 492 900 (ერთი მილიონ ოთხას ოთხმოცდათორმეტი ათას ცხრაასი) ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 170 206 500 (ას სამოცდაათი მილიონ ორას ექვსი ათას ხუთასი) ლარი, სხვა ხარჯები - 199 524 900 (ას ოთხმოცდაცხრამეტი მილიონ ხუთას ოცდაოთხი ათას ცხრაასი) ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით შეადგენს - 244 903 500 (ორას ორმოცდაოთხი მილიონ ცხრაას სამი ათას ხუთასი) ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 314 903 500 (სამას ოთხმეტი მილიონ ცხრაას სამი მილიონ ხუთასი) ლარი.

- არაფინანსური აქტივების კლება - 70 000 000 (სამოცდაათი მილიონი) ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარი).

ვალდებულებების ცვლილება 2026 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება - 37 570 900 (ოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთას სამოცდაათი ათას ცხრაასი) ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2026 წლისათვის განისაზღვრა 37 570 900 (ოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთას სამოცდაათი ათას ცხრაასი) ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

მომხსენებლის, ბ-ნი გ. თალაკვაძის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თბილისის პრიორიტეტებით გათვალისწინებულ შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტი (კოდი: 03) - 292 760 600 (ორას ოთხმოცდათორმეტი მილიონ შვიდას სამოცი ათას ექვსასი) ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (263 120 900 (ორას ოთხმოცდათექვსმეტი მილიონ ას ორმოცდათერთმეტი ათას ასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 29 639 700 (ოცდაცხრა მილიონ ექვსას ოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში:

- გამწვანების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 01) გათვალისწინებულია 100 801 300 (ასი მილიონ რვაას ერთი ათას სამასი) ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (80 301 300 (ოთხმოცი მილიონ სამას ერთი ათას სამასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 20,500,000 (ოცი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით;

- დასუფთავების ღონისძიებებისათვის (კოდი: 03 02) გათვალისწინებულია 152,389,900 (ას ორმოცდათორმეტი მილიონ სამას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაასი) ლარი, რაც 2025

წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (142 500 000 (ას ორმოცდაორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 9 889 900 (ცხრა მილიონ რვაას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაასი) ლარით;

- ბოტანიკური ბაღის და თბილისის ზოოლოგიური პარკის ხელშეწყობისთვის (კოდი: 03 03) გათვალისწინებულია 17 165 500 (ჩვიდმეტი მილიონ ას სამოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (16 835 500 (თექვსმეტი მილიონ რვაას ოცდათხუთმეტი ათას ხუთასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 330 000 (სამას ოცდაათი ათასი) ლარით, კერძოდ:

- ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 01) – 12 082 100 ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (6 670 800 (ექვსი მილიონ ექვსას სამოცდაათი ათას რვაასი) ლარი) მიმართებაში გაზრდილია 5 411 300 (ხუთი მილიონ ოთხას თერთმეტი ათას სამასი) ლარით;

- ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02) – 5 083 400 ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (10 164 700 (ათი მილიონ ას სამოცდაოთხი ათას შვიდასი) ლარი) მიმართებაში შემცირებულია 5 081 300 (ხუთი მილიონ ოთხმოცდაერთი ათას სამასი) ლარით.

- რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის (კოდი: 03 04) გათვალისწინებულია 22 403 900 (ოცდაორი მილიონ ოთხას სამი ათას ცხრაასი) ლარი, მათ შორის:

- სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობისთვის (კოდი: 03 04 01) – 4 403 900 (ოთხი მილიონ ოთხას სამი ათას ცხრაასი) ლარი;

- ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი: 03 04 03) – 18 000 000 (თვრამეტი მილიონი) ლარი.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პრიორიტეტის (კოდი: 09) ფარგლებში დაფინანსდება ცხოველთა მონიტორინგი (კოდი: 09 02) – 11 355 400 (თერთმეტი მილიონ სამას ორმოცდათხუთმეტი ოთხასი) ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (12 962 100 ლარი) მიმართებაში შემცირებულია 1 606 700 (მილიონ ექვსას ექვსი ათას შვიდასი) ლარით.

ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის:

- თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი: 10 46) – 8 260 300 (რვა მილიონ ორას სამოცი ათას სამასი) ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა - სსიპ ცხოველთა მონიტორინგის 2026 წლის დაფინანსების

გაზრდის შესახებ.

ბ-ნმა ირაკლი ბენდელიანმა - სსიპ ცხოველთა მონიტორინგის მიერ, გლდანის რაიონის ტერიტორიაზე ახალ, დამატებით კიდევ ერთ ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში (რომლის ექსპლუატაციაში შესვლა 2026 წელს იგეგმება) აგრესიულ ცხოველთა (ძაღლების) განთავსების მიზნით ვოლიერების მოწყობის საკითხთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ჯაბა კოლუამ - ცხოველთა მონიტორინგის დაფინანსებისა და ამ მიმართულებით, 2026 წელს დასახული მიზნებისა და განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ.

დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გასცეს: ბ-ნმა გ. თალაკვაძემ, ბ-ნმა ლ. მიქავამ და ბ-ნმა კ. ზარნაძემ.

ბ-ნმა ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ ცხოველთა მონიტორინგის 2026 წლის დაფინანსების გაზრდა შესაძლებელია განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენისას.

ბ-ნი კონსტანტინე ზარნაძის ინფორმაციით, ცხოველთა მონიტორინგის მიერ აგრესიული ძაღლების გადაყვანა და მათი მოვლა-პატრონობა არსებული წესის შესაბამისად, ამ ეტაპზე, მხოლოდ სამგორის რაიონში მდებარე ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში განხორციელდება, სადაც შესაბამისი ვოლიერების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე ზარნაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის პრიორიტეტები, რა მიმართულებითაც, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია რეკომენდაციით მიმართოს ქალაქ თბილისის მერს და მთავრობას და ითხოვოს საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა.

ბ-ნმა კ. ზარნაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები შემუშავდა კომისიის საკურატორო სფეროში შემავალ, შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან სამუშაო შეხვედრებისას გავლილი კონსულტაციების შემდეგ.

დაბოლოს, ბატონმა კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ თბილისის ექნება ისეთი ბიუჯეტი, რომელიც დედაქალაქის გამოწვევებს სრულად უპასუხებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს და ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

1. დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02) დაფინანსება გაიზარდოს დამატებით 41 596 700 (ორმოცდაერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდასი) ლარით.
2. თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი: 03 03 01) დაფინანსება გაიზარდოს დამატებით 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარით.
3. ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) დაფინანსება გაიზარდოს დამატებით 2 500 000

(ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს და ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

1. დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02) დაფინანსება გაიზარდოს დამატებით 41 596 700 (ორმოცდაერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი ათასი შვიდასი) ლარით.
2. თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი: 03 03 01) დაფინანსება გაიზარდოს დამატებით 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარით.
3. ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) დაფინანსება გაიზარდოს დამატებით 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 14 ნოემბრის №12-032531844-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

თბილისის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა ხეობაში, სადაც მრავალი საცხოვრებელი უბანი მაღლობზეა გაშენებული, ურბანული საბაგირო გზების, როგორც ადამიანების საცხოვრებელი უბნებიდან საქმიან უბნებში გადაყვანის საშუალების განვითარებას და გამოყენებას უწყობს ხელს.

ქალაქს 1950-იანი წლებიდან აქვს საბაგირო გზების სისტემები, თუმცა ხაზების უმეტესობა აშენდა ტურისტული მიმართულებების ქალაქის ცენტრთან დასაკავშირებლად. დღესდღეობით სტრატეგიულად მიზანშეწონილია, რომ საბაგირო გზების სისტემები განვითარდეს, როგორც ურბანული სამგზავრო ტრანსპორტი.

თბილისის სატრანსპორტო გეგმის (SUMP) დოკუმენტმა განსაზღვრა ქალაქ თბილისის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი სხვადასხვა რეფორმის აღსრულების გზა, რომელიც შეესაბამება ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული კუთხით დასმულ მიმდინარე, აქტუალურ გამოწვევებს.

მათ შორის, თბილისის სატრანსპორტო გეგმის მიერ გამოვლენილია ურბანული საბაგიროების ექვსი დერეფანი. აქედან, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაზე უკვე ასახულია 1: ისანი - ვაზისუბანი; 2: სარაჯიშვილი - ზღვისუბანი; 3; სამგორის საბაგიროს დერეფნები. წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში კი ხდება დამატებით 2 (ორი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნის ასახვა, ესენია:

- ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიდის პლატო;
- სადგურის მოედანი - ვარკეთილი(ლოტკინი - მახათა- ჰუალინგი);

ყველა ზემოაღნიშნულ მარშრუტზე არსებითია, რომ შემოთავაზებული სადგურებისთვის მიწის ნაკვეთები და მარშრუტის ხაზები დაცული იყოს ნებისმიერი მომავალი განაშენიანებისგან.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში ვაჟა-ფშაველა - ნუცუბიდის პლატოსა და სადგურის მოედანი - ვარკეთილის (ლოტკინი - მახათა-ჰუალინგი) პერსპექტიული საბაგირო დერეფნების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ასახვის მიზნით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 14 ნოემბრის №12-032531844-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 14 ნოემბრის №12-032531844-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 7 ნოემბრის №12-032541131-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 6 ნოემბრის №25.1855.2087 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - №01252443147-67; №01252833139-67; №01252942943-67; №01252971805-67; №0125272191-67; №012527778-67; №01253001948-67; №15-01250922496-16(№16-01250941345)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №01252443147-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მამარდაშვილის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.04.026.019) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება ფაქტობრივად არსებული მყარი მიჯნის შესაბამისად.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის

საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ: 203836233) ჯიხურებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2025 წლის 29 ოქტომბრის №01253021838 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალისა და ტოპოგრაფიულ გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. აღნიშნული დასტურდება გასული წლების ორთო ფოტოებიდანაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მამარდაშვილის ქუჩა №19ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.04.026.019) არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01252833139-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, "ბეთანია-3"-ის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.28.070.053) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს 2014-2018 წლის გენერალური გეგმის ზონირების დაბრუნება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა ვინაიდან, ინტერაქტიული რუკის მონაცემებზე დაყრდნობითა და განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით მიწის ნაკვეთზე დგას საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობა ნაგებობა. აღნიშნული ფიქსირდება 2005 წლის აერო-ფოტოგადაღებიდან, რომელიც ასახულია საჯარო რესტრის ამონაწერშიც.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმით, №01.81.28.070.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონა, რაც ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ზღუდავს მესაკუთრის კანონიერ უფლებებს.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 10 ოქტომბრის №01253013442 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 (15.03.2019წ.) დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, "ბეთანია-3"-ის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.28.070.053) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01252942943-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის I გასასვლელი, №10ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.011.083) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს 2014-2018 წლის გენერალური გეგმის ზონირების დაბრუნება, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა, მყარი მიწის საზღვრებში ხარვეზის სახით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ამასთან აღნიშნული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ნაწილი ვრცელდება ფაქტობრივად არსებულ ღობესა და მის მიღმა ტერიტორიაზე.

შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა განხორციელდეს მხოლოდ ფაქტობრივად არსებული ღობის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიას სატრანსპორტო ფუნქცია არ გააჩნია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2025 წლის 29 ოქტომბრის №01253021951 წერილის მიხედვით, აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ნაწილობრივ. კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფენა გაუქმდეს მხოლოდ ფაქტობრივად არსებულ ღობეზე. ხოლო, სამომავლოდ, განსახილველ ტერიტორიაზე ჯეროვანი სატრანსპორტო

ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნის გათვალისწინებით, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, მიზანშეწონილად მიიჩნევს ღობის მიღმა არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია და პარამეტრი შენარჩუნდეს უცვლელად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის I გასასვლელი, №10ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.011.083) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ნაწილობრივ ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01252971805-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზანდუკელის ქუჩა, №34-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.061.002) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება მყარი მიჯნის - ღობის გათვალისწინებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №0125303545 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ქალაქ თბილისის ინტერაქტიული რუკის სხვადასხვა წლის ორთოფოტოს მონაცემებზე დაყრდნობით, ვლინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია მყარი კონსტრუქციული ღობე, შესაბამისად, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა ფაქტობრივად არსებული ღობის კონტურზე, ხოლო ღობის მიღმა არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია და პარამეტრი შენარჩუნდეს უცვლელად.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.17.09.061.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და წარმოდგენილი „SHP“ ფაილით მოთხოვნილ არეალს შორის დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, მცირე ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზანდუკელის ქუჩა, №34-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.061.002) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №0125272191-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მუხიანი-2 ის დასახლება, იასამნის ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.13.569.012) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 დადგენილების მიხედვით №01.72.13.569.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, №01.72.13.569.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით №01.72.13.569.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მომიჯნავედ №72.13.09.539 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

ვინაიდან, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება ზღუდავს ყველანაირ სამშენებლო გამოყენების სახეობას იზღუდება მესაკუთრის კანონიერი უფლებები მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საპროექტო ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი მახასიათებლების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს არეალზე, მომიჯნავე ტერიტორიასთან ერთად (საკადასტრო კოდი: №01.72.13.569.012; №72.13.09.539 და მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე ნაწილი).

2025 წლის 27 ოქტომბრის №18-01253002934 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, ზემოაღნიშნულ არეალზე განხორციელდეს

თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული არელების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანი-2 ის დასახლება, იასამნის ქუჩა №12-ში; ქალაქ თბილისში, გლდანი, I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.13.569.012; №72.13.09.539) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №012527778-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ფარსმან II ქველის ქუჩა, №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.09.001.198) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საკადასტრო კოდით №01.11.09.001.198 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება, რაც ზღუდავს მესაკუთრის კანონიერ უფლებებს მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს არეალზე - მომიჯნავე ტერიტორიასთან ერთად, ვინაიდან საკადასტრო კოდით №01.11.09.001.197 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთის თანაბარ პირობებში, საერთო მახასიათებლების მქონე გარემო-განაშენიანებაში.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 29 ოქტომბრის №18-01253022878 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფარსმან II ქუელის ქუჩა, №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.09.001.198) ასევე, საკადასტრო კოდით №01.11.09.001.197 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №01253001948-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.28.072.015) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს 2014-2018 წლის გენერალური გეგმის ზონირების დაბრუნება სამშენებლოდ განვითარების მიზნით.

№01.81.28.072.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამშენებლოდ განვითარება, შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები. საპროექტო, მომიჯნავე და მიმდებარე მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით და ჩამოყალიბებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია სრულყოფილი საცხოვრებელი გარემოსთვის.

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 დადგენილების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატყეო ზონა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სატყეო ზონა, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით შემოთავაზებული სატყეო ზონა.

ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია ნაწილობრივ, კერძოდ, 2014-2018 წლის გენერალური გეგმის კონტურის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გავრცელდეს საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) კონტურზე შენარჩუნდეს სატყეო ზონა, ხოლო მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელად.

2025 წლის 31 ოქტომბრის №01253042836 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.28.072.015) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია ნაწილობრივ, კერძოდ, 2014-2018 წლის გენერალური გეგმის კონტურის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გავრცელდეს საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ხოლო, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) კონტურზე შენარჩუნდეს სატყეო ზონა. ამასთან, მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 (15.03.2019წ.) დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელი ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.81.28.072.015) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - №15-01250922496-16(№16-01250941345 განცხადებით, ქალაქ თბილისში, წყნეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე (ნაკვ. 88/062); ქალაქ თბილისში, წყნეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე (ნაკვ.88/067-ში) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.088.143), მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

